

**შპს "ტირ პარკ მარნეული 2014" (ს/კ 434161603)
განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1. შპს "ტირ პარკ მარნეული 2014" (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2013 წლის 09 ოქტომბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 434161603.
- 1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:
- ტირ პარკინგის მომსახურება;
 - საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით და ემსახურება საზოგადოების მიზნებს.
- 1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

- 2.1. საზოგადოების მიერ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება მეორედ;
- 2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;
- 2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;
- 2.4. საზოგადოება წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;
- 2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული

ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

- 2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2018 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;
- 2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 2.9. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;
- 2.10. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);
- 2.11. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
- 2.12. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის

ადრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

- 2.13. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ არიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.14. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.15. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;
- 2.16. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.17. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.
- 2.18. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:
- ბალანსს ((შენიშვნებით);
 - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
 - საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

დირექტორი:



/ა. ფეიქრიშვილი/

ბუღალტერი:



/თ. ქართველიშვილი/

შპს "ტირ პარკ მარნეული 2014" (ს/კ 434161603)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019

<u>აქტივები</u>	<u>შენიშვნა</u>	<u>31-12-18</u>	<u>31-12-19</u>
მიწა	1	91,000.00	91,000.00
ძირითადი საშუალებები	1	1,123,457.00	1,257,830.00
არამატერიალური აქტივები	1	526.00	421.00
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,214,983.00	1,349,251.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	#	417.00	-
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	2	73,574.00	80,130.00
გადახდილი ავანსები	2	388.00	173.00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	3	44,526.00	11,175.00
სულ მიმდინარე აქტივები		118,905.00	91,478.00
სულ აქტივები		1,333,888.00	1,440,729.00
ვალდებულებები			
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	4	18,003.00	12,872.00
საგადასახადო ვალდებულებები	5	18,264.00	14,691.00
სასესხო ვალდებულებები	6	696,897.00	1,413,211.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები		733,164.00	1,440,774.00
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	24,000.00	24,000.00
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	7	576,724.00	- 24,045.00
სულ კაპიტალი		600,724.00	- 45.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,333,888.00	1,440,729.00

2019 წლის მოგება-ზარალის ფორმა

შემოსავალი	თანხა
შემოსავალი რეალიზიციიდან (პარკირებიდან)	826,691.00
სადაზღვევო თანხა	11,712.00
არასაოპერაციო მოგება	98.00
სულ შემოსავალი	838,501.00
ხარჯები	
გაყიდული/შემძენილი საქონელი	
შრომის ანაზღაურება	261,936.00
ელექტროენერგია	18,374.00
საოფისე ინვენტარი; საკანცელარიო ხარჯი	4,173.00
კომუნიკაციის ხარჯები	4,575.00
შემოსავლების სამსახური	55,700.00
ცვეთა და ამორტიზაცია	47,439.00
სხვა საგადასახადო ხარჯი	15,730.00
სხვა საერთო ხარჯი	2,101.00
საპროცენტო ხარჯები	105,176.00
არასაოპერაციო ზარალი	13,077.00
სულ ხარჯი	528,281.00
მოგება 2019 წლის	310,220.00

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წ-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
	შემოსავალი	
1	შემოსავალი მიწილებიდან და მომსახურებიდან	969,244.00
2	ბანკიდან სესხის მიღება	2,500,138.00
3	ანაზღაურებული დაზღვევა	11,712.00
	სულ შემოსავალი	3,481,094.00
	გასავალი	227,738.00
1	გადახდილი ხელფასები	791,771.00
2	გადახდილი დივიდენდები	329,024.00
3	გადახდილი გადასახადები	1,784,165.00
4	სესხის გადახდა (ბანკი)	105,176.00
5	გადახდილი %	8,966.00
6	ბანკის მომსახურების ხარჯი	263,180.00
7	კომუნალური გადასახადები და სხვა ხარჯები	4,425.00
8	არასაოპერაციო ზარალი	
	სულ გასავალი	3,514,445.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	44,526.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	11,175.00

შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

ბალანსი 31 დეკემბერი 2018 წელი		1,214,983.00
მიწის ნაკვეთები		91,000.00
შენობა-ნაგებობები		1,103,135.00
მანქანა-დანადგარები		15,694.00
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი		4,628.00
არამატერიალური აქტივები		526.00
ნაშთი 31 დეკემბერი 2019 წელი		1,349,251.00
მიწის ნაკვეთები		91,000.00
შენობა-ნაგებობები		1,233,995.00
მანქანა-დანადგარები		14,646.00
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი		9,189.00
არამატერიალური აქტივები		421.00

შენიშვნა 2 - სავაჭრო და სხვა დებიტორული

#	დასახელება	31.12.2019 წ.
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	80,130.00
2	გადახდილი ავანსები	173.00
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	80,303.00

შენიშვნა 3 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2019 წ.
	ლარი საბანკო ანგარიშზე	8,111.00
	ნაღდი ფული სალაროში ლარებში	3,064.00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	11,175.00

შენიშვნა 4 - სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2014 წ.
1	კახაბერ ადგიშვილი	41.00
2	მზია ნოზაძე	125.00
3	ირაკლი ყიფშიძე	12.50
4	შპს ბიზლუსი	91.59
5	შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი	2,000.00
6	შპს ჯენეტ	90.00
7	ნინო ყანჩაველი	53.39
8	სს ენერგო-პრო ჯორჯია	4,498.27
10	შპს "ბი ემ სი გორგია"	1,369.46
12	შპს მადლიანი	172.50
13	შპს რუსთავი ტრეიდი	337.87
14	შპს ვორქ გრუფ	7.00
15	შპს ფაილი	17.50
16	Villa Yapi Muhendislik/თურქეთი	4,055.82
	ჯამი	12,871.90

შენიშვნა 5 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2019 წ.
1	საგადასახადო ვალდებულებები	14,690.00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	14,690.00

შენიშვნა 6 - სასესხო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2019 წ.
1	სესხი პროგრედიტ ბანკიდან	49,836.00
1	ოვერდრაფტი	3,562.36
1	სესხი 76.6039	836,789.28
1	სესხი 76.6036	226,156.67
1	სესხი 76.6037	138,723.80
2	სესხი 76.6038	158,143.38
	სულ სასესხო ვალდებულებები	1,413,211.49

შენიშვნა 7 - კაპიტალი

#	დასახელება	ი მოგება/დაუფა რავი ზარალი	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	576,724.00	24,000.00	600,724.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება		-	-
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა	- 600,769.00		- 600,769.00
4	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	- 24,045.00	24,000.00	- 45.00

დირექტორი:



/ა. ფეიქრიშვილი/

ბუღალტერი:



/თ. ქართველიშვილი/